მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს, ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

18 ივლისს ტერიოკში სეირნობის დროს მოჰკლეს ყოფილი დეპუტატი გერცენშტეინი, დასჭრეს მისი ქალი. ოდესსაში ანარქისტებმა, ქალის წინასი ქალი. ოდესსაში ანარქისტებმა, შეიარაღებულნი რევოლვერებით მძლოლობით, შეიარაღებულნი რევოლვერებით და ყუმბარებით ხელში, შეიჭრნენ „ნოვოე ობოზრენიე“-ს სტამბაში, დაბეჭდეს რამდენიმე ათასი პროკლამაცია. გელსინგფორში აჯანყდა სამი არტილერიო სამინო როტა და პორტში კი მატროსები.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილ-ს 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ადრესი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

№ 36

პარასკევი, 21 ივლისი 1906 წ. თბილისი

№ 36

„გლეხის“ რედაქცია გადავიდა სოლოლაკში განოვის ქუჩაზე სახლი გურგენოვისა №8 ქალაქის საბჭოს მახლობლად.

ტფილისი, 21 ივნისი.

Вамъ говорятъ: она (революція) уже упала подъ ударами контръ-революціи. Это неправда.

М. Бакунинъ.

არა, არა, ათასჯერ არა. რევოლიუცია არ არის ძლეული, მოძრაობა არ გათავებულა. ძველის წამლეკველი და ახალის მომტანი ტალღები ჯერ კიდევ არ გამქრალან. სიხარული ჯერ კიდევ ადრეა ტირანიის და მჩაგვრელობის მოტრფიალენო! რევოლიუციას ვერავითარი ხელოვნური ძალა ვერ შეაჩერებს,—ის დაუძლეველი სტიქიაა. რევოლიუციას აგრეთვე ვერავის კერძო სურვილი ვერ შექმნის, მაგრამ როცა ის შეიქმნის, ე. ი. როცა მას ეს ხალხის ცრემლები, ტანჯვა და სისხლი ამოზრდის და როცა ეს პირმშო, რომლის საშუალო საუკუნოების მონობით და ტანჯვით დაღრღნილი ხალხის გული იქიდგან აღმოხეთქს, მისი დაკავება შეუძლებელია. უნდა წალეკოს და გადარეცხოს მან ქვეყნის პირიდან, რაც საუკუნოების მონობას და ბატონობას, ცარცვა და გლეჯას, ორპირობას და სიცრუეს, უვიცობას და ფარისევლობას მდიდართა და ძლიერთა სადიდებლად, ღარიბთა და უძლურთა დასაჩაგრად აღუშენებია. რევოლიუცია სოციალურ ჰიგიენის ერთად ერთი, მაგრამ ძლიერი ორგანოა. მისი მოვლენა აუცილებელია, მისი გამარჯვებაც აუცილებელია. ის არის პირობები განვითარებისა, გაზრდისა. ის არის პირობა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისა და ჯანმრთელობისა. ის ცხოვრება და ზრდაა ხალხისა.

დაუკვირდით ისტორიას და ის გეტყვით, რომ ხალთა ცხოვრებიში არის მომენტები, სადაც ამ ხალხთა ცხოვრებისათვის, მათი განვითარებისათვის რევოლიუცია ისეთივე აუცილებელი პირობაა, როგორც ყოველი კერძო ადამიანისათვის სუნთქვა. არის მართლა ხალხთა ისტორიაში ისეთი მომენტები, როცა ყოველი დახუთულია, ყოველი არა ნორმალურია: სოციალური ორგანიზმი, საზოგადოება სავსეა გამხრწნილი მატლებით, ყველაფერს სიდამპლის სუნი უდის, ყველაფერი დაცემული და წაბილწულია. თავისუფლება ფეხქვეშ არის გათელილი და მონობა სიძლიერისა ტახტზე ზის; სიყვარული გარყნილებაა, მეგობრობა ფლიდობა, გულკეთილობა ან დანაშაულობაა ან დამამცირებელი მოწყალება; ფული ღმერთია, ძალა მისი მიქელ გაბრიელი; კეთილი და კეთილ-შობილი გრძნობა დევნილია, მას გასავალი არ აქვს, რადგან ბოროტება, გონებრივი და ზნეობრივი სიმურტლე და გარყვნილება მეფობენ. ადამიანი სთვლემს, რადგან მასში შეგუბულ ენერგიას ვერ უშოვნია ნორმალური პირობები შემოქმედებისათვის. ყოველი, ყველაფერა გადასვლის, გახრწნის გზაზე დამდგარა. ჰაერი გაჟღენთილია სულის შემხუთავ, საშინელი და მომაკვდინებელ სუნით, რომელიც გახრწნაში ჩავარდნილ ცხოვრებასა ასდის. საზოგადოება კეთროვან იობსა ჰგავს: სულთქმა შეუძლებელია, სიკვდილი თავის ულმობელი ცელითა თავს დაჰნავარდობს სიცოცხლისა მოსურნეთ. ყოველი კავშირი სწყდება და ყოველ მხრივ დაუსრულებელი ვაის ღმუილი მოისმის: ცრემლი სისხლში ერევა და სიცოცხლე სიკვდილში.

დიახ, არიან ასეთი მომენტები ხალხის ისტორიაში და თუ მაშინ ცხოველ მყოფელი ქარტეხილი, ძალა დამთრგუნველი და ძალა შემომქმედი-რევოლიუცია არ ანახლებს ხალხს და საზოგადოებრივ ცხოვრებას, — ხალხიც დაღუპულია და ცხოვრება მისი უნდა შესწყდეს. ამისთანა წამებში იშვის — რევოლიუცია ცხოვრების გასაახლებლად, გადასვლის გზაზე დამდგარ ძალების გამოსაღვიძებლად, წაბილწულ გრძნობათა აღსადგენათ, მონობის დასანგრევად, სიკვდილის დასათრგუნველად, ერთი სიტყვით სიცოცხლისა და საზოგადოების ხელახლად საშობად და სწორედ ამისათვის რევოლიუცია არის აღმადგენელი საზოგადოებრივ ცხოვრებისა, შემქნელი სიცოცხლის პირობებისა. მტერი რევოლიუციისა, — მტერია საზოგადოებისა, სიცოცხლისა და მომხრე საზოგადოების დანგრევისა და სიკვდილისა. თუ ხალხში ცხოვრების ინსტიქტი კიდევ საკმაოდ არის შენახული, რევოლიუცია გაიმარჯვებს, თუ არა და თვით საზოგადოება უნდა დაინგრეს, შეწყდეს ყოველი კავშირი, გაჰქრეს თვით ხალხი, რათა ადგილი დაუთმოს სხვა უფრო ჯანმთელ ნაწილს კაცობრიობისა.

ასეა. ან გაქრობა და აღგვა დედამიწის პირისგან ან განახლება. განახლება კი რევოლიუციაშია, რევოლიუციის დაძლევა და დამარცხება ხალხის დაძლევა და დამარხვაა. რევოლიუციასთან ბრძოლა გადასვლის გზაზე დამდგარ საზოგადოების განახლების წინააღმდეგ ბრძოლაა. მაშასადამე, რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოების დაცვა კი არ არის, საზოგადოების დაღუპვაა.. საზოგადოების ინტერესთა დაცვა, საზოგადოების განახლება, მისი ზრდის და განვითარების პირობების შექნა მხოლოდ რევოლიუციით შეიძლება. ამისათვის საზოგადოებრივობა და რევოლიუცია ორი განუყრელი რამ არის: ერთი მიზანია, მეორე საღსარი, ისე როგორც საზოგადოების დაცემა და გახრწნა, კაციჭამიობა, და ბარბაროსობა და რეაქცია, ე. ი. ბრძოლა რევოლიუციის წინააღმდეგ განუყრელ არიან: აქაც ერთი მიზანია, მეორე — სახსარი.

ვისაც რა უნდა ის ამოირჩიოს: რევოლიუცია სიცოცხლის ცდას მაინც წარმოადგენს, რეაქცია კი ცხადი და აუცილებელი სიკვდილია.

კ. ი—ი

## მარქსისტების სამეფოში.

იმ დროს, როდესაც იანვრის რეაქცია მთლად ანადგურებდა ზემოქართლის დაბა-სოფლებს, როცა არ იყო დანდობა დიდისა და პატარისა, მტყუანისა და მართლისა, სწორედ იმ დროს მეწვია მე ერთი სოციალ-დემოკრატი და მთხოვა გავყოლოდი იმერეთში, როგორც გზის მაჩვენებელი.

იანვრის სუსხიანი დილა იყო, როდესაც ჩვენ გაყინულ ტყემშვილები გადავედით ს. ქალუანას. ნათლისღება დღე იყო და ყველა გლეხ-კაცს სამზადისი ჰქონდა ჩვეულებისამებრ, ამასთანავე, გაავერებულ რეაქციას ჯერ ვერ ეწვენა ამ მხარესათვის და ამიტომ თავისუფლებით წელში გამლილი ხალხი მხიარულობდა. ჩვენ ძალიანა გვშიოდა. მივედით ერთ ოჯახში და ვთხოვეთ ცოტა რამ ეჭმიათ. მათაც მაშინვე შეგვიპატიჟეს ხალხში და გაგვიმასპინძლდნენ. იმათ გაიგეს რა რომ ჩვენ ქართლიდგან, ეიყავით და გვიწყეს გამოკითხვა იქაურ ამბებისა. ჩვენც ვეუბნებოდით ყველა იმ ამბებს, რაც მოევლინა ზემო ქართლს და ცოტა ხნის შემდეგ თვითონ დასავლეთ საქართველოსაც.

ჩვენ ვგრძნობდით, რომ დაღლილობის გამო გზის გაგრძელება აღარ შეგვეძლო. ასიტომ მოვინდომეთ ათის თავის ნახვა, რათა მასთან ღამის გასათევათ თავშესაფარი ეშოვნა მასპინძელმა გაგვაყოლა თავის პატარა შვილი და უთხრა ჩავიყვანეთ საყდართან, სადაც იმისი სიტყვით უნდა ჩამოსულიყო ათის თავიც და ასის თავიცა.

ხან მოკლე სიარულის შემდეგ მივედით საყდართან, სადაც მრავლათ ხალხს თავი მოეყარა.

მისვლისთანავე მათაც გაიგეს რა ჩვენი ვინაობა დაგვიწყეს ამის გამოკითხვა; ისინი, ყველა ჩვენ მიერ ნაამბობის შემდეგ, წყევლასა ემუქრობდნენ ბნე ლძალებს. სიამოვნებით შევცქეროდი იმედით აღვსილს ხალხს. უცბათ გაისმა ხალხში ხმა „ათის თავიო“ და ჩამოვარდა სიჩუმე. მართლაც მობრძანდა მამუკა (ასე ეძახდნენ ათის თავს) და გამარჯობა გვითხრა. ჩვენც ვუპასუხეთ. ცოტა ხნის შემდეგ მამუკამ დაიწყო: აფხანიკებო, ჩ მ წმინდა მოვალეობას შეადგენს ბაშფორთები მოვითხოვოთ“, „რა ბაშფორთები“, მივუგეთ ჩვენ.—„რა ბაშფორთები და ის ბაშფორთებ რომელზედაც

ეწერება რომ, თქვენ ნამდვილი სოციალ-დემოკრატები ხართ თუ ბუნდეა, ხალხის მტრები ფედერალისტები და რევოლიუციონერები. —„ჩვენ დემოკრატების მაშვერთება არა გვაქვს და ერთი ის გვითხარით ვინ გითხრათ, რომ ფედერალისტები და რევოლიუციონერები ხალხის მტრები არიან“. „ეგ თქვენი საქმე არ არის, ჩვენ პირდაპირ კომიტეტისგან ნაბრძანები გვაქვს, ვისაც არ ამოჩნდება დემოკრატების ბილეთი დავიჭიროთ, გავჩხრიკოთ, და ხელებ შეკრული გადავცეთ საჩხერის ბიუროს, გესმით თუ არა და გეისვა ხანჯალზე ხელი, „ამასთანავე გვიბრძანა გაგვეხადნა ტანისამოსი რაც დაუყოვნებლივ ორთავე ავასრულეთ. მამუკამ გამხადა რუსეთიდან მოყოლილი ტყავი, შემომხსნა ქამარი, ჯიბები გადმომიბრუნა და ჩექმის ყელშიც ხელი შემომისვა. მორჩა რა ამ ცერემონიას, მერმე ჩვენება ჩამომართვა ჩაიწერა გვარი; სახელი, ისე გასინჯეთ იმასაც კი მკითხავდა ვის იცნობთ ან შენი ნათესავები ვინ არიანო. ბატონ სოციალ-დემოკრატსაც ეს დღე დააყენეს რომ ესაც ჩამოართვეს ბრაუნინგის რევოლვერი რაზედაც მან ბევრი იწუხა; დაასრულა რა მამუკამ თავისი ცერემონია მოიყვანა ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი და უბრძანა: წაგვეყვანეთ სადმე ბოსელში და ყარაულნათ „ვინიცობაა გაქცევა დააპირონ, უბრძანა მამუკამ, ორთავენი დახოცე, არ დაინდოვო“. იმ ღამეს მკვდრებივით გაჭიმულები ვიწექით. გვეშინოდა განძრევისა, ვაი თუ განძრევა ეგონოს ყარაულს და ორთავენი დაგვხოცოსო. მეორე დღეს გადაგვიყვანეს საჩხერეში, სადაც ბატონმა ბიუროს თავჯდომარემ კეთილ ინება და გაგვანთავისუფლა. თავს კი იმით იმართლებდა, რომ რევოლიუციონური ხანაა და არ შეიძლება, რომ სამხედრო დისციპლინა არ დავიცვათო. ამასთანავე ბატონმა ლ. ი. კეთილ ინება და მაუწყა, რომ იმერეთი მარქსისტების სამეფოს შეადგენდა და რომ მე არავითარი უფლება არა მქონდა ფედერალისტების პროგრამა ამეხსნა ვისთვისმე მაგრამ თანაც დაატანა, „თუ გინდათ მაინც ლაპარაკი, შეგიძლიანთ, (უკეთ რომ ვსთქვათ ნება მომცა) ილაპარაკოთ ავტონომიაზე და არა მიწის სოციალიზაციაზეო.

მკითხველო, შენ თითონ შეადარე არსებული თვითმპყრობელობა და სოც.-დემოკრატიული თვითმპყრობელობა.

თუ ამ ფაქტის დამტკიცებას მოითხოვენ მე მზადა ვარ დავუმტკიცო.

ალელი.

## ახალი ამბავი

ქალაქში კვლავ ვრცელდება ხმები, რომ შაბათისათვის „პატრიოტები“ ემზადებიან მანიფესტაციის გასამართავათო.

— როგორც გაიგეთ ქიზიყში მოუკლავთ სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის მებრძოლ ჯგუფს ცნობილი ჯაშუში გიგა ალადაშვილი.

— როგორც ამას წინათ ვწერდით ქალაქში მცხოვრებმა თათრებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას მე-VI უბანში საყასბოების აშენების ნებართვა. ქალაქის გამგეობამ ასეთი თხოვნა არ შეიწყნარა და თათრებს უარი უთხრა ქალაქში საყასბოების მოწყობაზე.

— ამ დღეებში თბილისის საოლქო სასამართლოში გაირჩევა საქმე ნაფიცი ვექილის დოლუხანოვისა, რომელიც იყო რედაქტორი „კავკასკი მისლის“. დოლუხანოვი მისცა სისხლის სამართალში კავკასიის ბეჭდითი საქმის კომიტეტის თავჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელმა ქიშმიშევმა; დოლუხანოვს ბრალსა სდებენ „დროებითი სიჩუმე“ სათაურით წერილის დასტამბვისათვის, რომელშიაც დოლუხანოვს თითქოს მთავრობის მოქმედებაზე ტყუილი ამბები უნდა დაესტამბოს.

— ამ დღეებში თბილისის საოლქო სასამართლოს ბრალდებულმა გადასცა სისხლის სამართლის განყოფილებას გასამართლებლად საქმე 3—ე უბნის ზედამხედველის ივ. ვინოგრადოვისა. ამას ბრალდება 1905 წ. ეკენისთვეს ლორის მელიქოვის ქუჩაზე წინაგანზრახულ მიზნით მოკვლა მოხუცებული ქალის ე. წვერაძის. ზედამხედველი დღესაც თავისუფალი დაიარება და ასრულებს თანამდებობას. სასამართლო განიხილავს ამ საქმეს მოკლე მომავალში.

— როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცეს დ. პავლიაშვილს, რომელიც „ივერიის“, და „შრომის“ რედაქციებში მუშაობდა და აგრეთვე, რომელიც იყო მთიულეთში მასწავლებლად შემდეგი არა საკადრისი საქმეები ჩაუდენია. „ივერიის“ რედაქციაში ყოფნის დროს, ამავე რედაქციის სახელით მისულა სარაჯევთან და აუღია სტეპენდია 50 მანეთი, რომელიც უნდა გაეგზავნა სტ. ლ. ა[illegible]ვის რადგან სტუდენტს ფული არ მიუღია და რედაქციისთვის მოუთხოვნია, აღმოჩენილა, რომ ფული ბ. პავლიაშვილს გაუხმარია. პავლიაშვილი „ივერიის“ რედაქციიდან „შრომაში“ შეფარებია, სადაც ერთი თავი უსარგებლებია ამის სახელით, შეუდგენია სია ამ რედაქციის და ს. ფ. პარტიის სახელობაზე, რომელსაც, ვითომდა, ფული უნდა ჰქონოდეს ხელის მოწერის გამოსა[illegible] თვე რაღაც საჭირო გამოცემებისა. სია ყოფილა გაყოფილი ორ კატეგორიათ: პირველი საპატიო წევრთათვის და მეორეც უბრალო შემომწირველთათვის. ამ ნაირათ გაუმართავს ხელის მოწერა. საპატიო წევრებში მოუთავსებია: ეპისკოპოსი პეტრე, რომელსაც 25 მ. შეუწირავს. შეუწირავთ აგრეთვე 100 მ. — 5 მ. ლუკა ტყემალაძეს, არქიმანდრიტს ამბროსის (15 მ). მღვდ. ბერიძეს, მამრეკელს, კიდევ გამრეკელს, თალაკვაძეს და სხვ. ასეთივე შემოწირულებანი აუღია, როგორც ამბობენ, სამღვდელოების კრებაზე დამსწრე ზოგიერთ მებისაგანაც, აუღია ფული აგრეთვე „შრომის“ ხელის მომწერლებისაგანაც და რედაქციისათვის არ გადაუცია.

ასეთივე „ფოკუზი“ ჩაუდენია იმ 25 მანეთშიც, რომელიც მიუღია გადასაცემათ დაზარალებულ გურულებისათვის ერთი სასინოდო კანტორის მოსამსახურისაგან. აგრეთვე მოქცევია მ. ქართველიშვილის 50 მანეთსაც, რომელიც შემდეგ ხერხით მიუღია: მთიულეთიდან დაბრუნების შემდეგ დრამატიული საზოგადოებისათვის უთქვამს, რომ

# ფელეტონი

**მოკლე სისტემა ანარქიზმისა.**

(ე. მალატესტასი)

(გაგრძელება).

**საუბარი მეშვიდე.**

II

**ამბრუაზ.** მხოლოდ ეს რომ გახდეს შესაძლებელი, საჭიროა ყველა ხალხის ანგელოზებად გარდაქცევა. ალტრუისტებად გარდაქმნა! მაგრამ ადამიანი თავის ბუნებით, ეგოისტი, ბოროტი, ფარისეველი და ზარმაცია.

**გიორგი.** ცხადია, კომმუნიზმი მოითხოვს ზნეობრივ სიმაღლეს და ნათელ შეგნებას საურთიერთო ინტერესებისას, რომელიც სპობს გამძვინვარებულ ბრძოლას. მაგრამ ეს სრულებით არაა შეუძლებელი, როგორც თქვენ ჰფიქრობთ! და ეხლაც მზგავსი დამოკიდებულება ხალხთა შორის ჩვეულებრივი და ნორმალური მოვლენაა. თუ არსებულ სოციალურ წყობილებაში, რომლის სათავეში ძევს მუდმივი ანტაგონიზმი, და შუღლი კლასთა და კერძო პირთა შორის, არსებობს საზოგადოება, და არა მგელთა ხროვა, ეს სახელდობ ადამიანის თან დაყოლილ, საზოგადოებრივ ინსტიქტის მეოხებითა, რომელიც ყოველ წუთში ათას გვარ სიმპატიურ, თავდადებულ თავ განწირულ მაგალითებად მოგვევლინება, რომლებსაც ჩვენ იმდენად შევეჩვიეთ რომ თითქმის არც ვჩერდებით იმაზედ.

ადამიანი თავის ბუნებით ერთ და იმავ დროს ეგოისტი და ალტრუისტია; თუ ის არ იყოს ეგოისტი ე. ი. რომ მოწყვეტილი იყოს თავმოყვარეობის ინსტიქტს, მას არ შეეძლო არსებობა, როგორც ინდივიდს; თუ ის არ იყოს ალტრუისტი, ე. ი. არ ჰქონდეს მიდრეკილება თავის განწირვისა სხვათა გულისათვის, რომელსაც უპირველეს ყოვლისა იწვევს ჩამომავლობის სიყვარული, მას არ შეეძლო არსებობა როგორც ტომს და არც შეეძლო ცხოვრება სოციალურ ცხოვრებით.

დღევანდელი წყობილება ადამიანს არ აძლევს საშუალებას ეგოისტურ და ალტრუისტურ გრძნობათა დაკმაყოფილებისათვის, აი რატომ ეხლა არავის შეუძლია კმაყოფილ იყოს ისინიც კი, ვისაც უჭირავთ პრივილეგიური მდგომარეობა. პირიქით კომმუნიზმი არის ისეთი წყობილება სოციალურ ცხოვრებისა, სადაც ეგოიზმი და ალტრუიზმი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. ადამიანს არ შეუძლია არ მიისწრაფოდეს მაგნაირ წყობილებისაკენ, რადგან მაშინ არის შესაძლებელი თავის ბედნიერების შეკავშირება სხვათა ბედნიერებასთან.

**ამბრუაზ.** ვერ ვიტყვით რომ ეს სასურველი არ არის; ეს კეთილი, მაგრამ, ყველა ნებაყოფლობით დაემორჩილება კომმუნისტურ წყობილებისაგან დაკანონებულ დადგენილებებს? თუ რამდენი არ მოინდომებს მუშაობას?. მართალია, თქვენ მეტყვით რომ შრომა არის ორგანიული მოთხოვნილება, მხიარულება, ყველა იმეცადინებს რომ დასტკბეს ამ მხიარულებით რაც შეიძლება უფრო. თქვენის აზრით ყოველი [illegible] კეთდება, როგორც თქვენ გსურთ!

**გიორგი.** მე მაგას არ გიტყვით, თუმცა ჩემი ამხანაგებთაგანი ფიქრობენ ასე. ჩემის აზრით თუ რამეში არის ორგანიული მოთხოვნილება, და სიმხიარულე, პირველად კუნთების და ძარღვების მოძრაობაშია, შრომა კი დაცული მოქმედებაა რომლის ობიექტური მიზანი ჰქევს გარეშე ორგანიზმისა, და მეც კარგად მესმის, რომ შესაძლებელია უღირესად ჩაირიცხოს სასიამოვნო ვარჯიშობა. მე დარწმუნებული ვარ რომ ადამიანი შესძლებს ახალი ბებს რომ ჩქარა შეეჩვიოს და იპოვოს საშუალება აღნიშნულ მიზნის მისაღწევად.

რახან საარსებო ნაყოფები აუცილებელი საჭიროებაა და არავის შეუძლია, აიძულოს სხვა რომ, მისთვის იმუშაოს, ის შრომის აუცილებლობა გაუჯდება თვითეულის შეგნებაში, და ხალხი უღირესად ჩარიცხავს სახელდობრ იმ ორგანიზაციას, სადაც შრომა ერთ და იმავ დროს იქნება ნაკლები სამძიმო და

*) იხილე „მუშა“ № 29.

...ბა და ამ სოფელში ძვირფასი ნა[illegible]ებია და 100 მ. გაყიდვინოთ. დრამატიულ საზოგადოებას არ ჰქონია ფული ე. ბ. ქართველიშვილს თავისი ჯიბიდან დროებით მიუცია 60 მ., რომლის ასავალ-დასავალიც გამქრალა. ეს ყოველივე შეუტყვია „შრომის“ რედაქციას, და მხოლოდ ახლა დაუთხოვნია! ამ უკანკნელად მეტად გახშირდა შანტაჟი, მაგრამ ასეთი დახელოვნებული და აშკარა ასეთის პირების წინაშე, რომელნიც პირდაპირი მოწინაამდეგენი არიან ასეთი ქცევის, მართლა გასაკვირველია.

— როგორც ყაზახის მაზრიდან გვატყობინებენ იქ გაჩენია საქონელს ეგრეთ წოდებული „ციმბირის ჭირი“. ადგილობრივ ბეითლებს უარი უთქვამთ ექიმობაზე, რადგან მისი საწინააღმდეგო წამალი არ ჰქონიათ. ხალხი ცუდს მდგომარეობაში ჩავარდნილა არა მარტო იმიტომ, რომ საქონელი უწყდებათ არამედ მიტომაც, რომ ეს ჭირი ადამიანსაც ედება.

---

## იოსებ აზიანიძე — თვითმპყრობელობა ქუთაისის ქალაქის გამგეობისა!

ამ დღეებში ქუთაისის ქალაქის გამგეობის ყველა დაბალმა მოსამსახურეებმა მოთხოვნილებანი წარუდგინეს ქალაქის გამგეობას. ეხლა, და არა სხვა დროს, ამ მოთხოვნილებების წარდგენა იმან უფრო გამოიწვია, რომ შარშან გამგეობის ყველა მოსამსახურეებმა შეიმუშავეს მოთხოვნილებები, რომლებიც შარშანვე უნდა წარედგინათ გამგეობისთვის, მაგრამ ეს მოთხოვნილებები სხვა და სხვა მიზეზებისა გამო მხოლოდ ქაღალდზედ დარჩენ და სისრულეში არ იქმნენ მოყვანილი. საქმის ასეთ წაყვანაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მოსამსახურეთაგან არჩეულ კომისიას, რომელსაც თავის თავზე უფრო ბევრი უფიქრნია, ვიდრე დაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, რაიცა ნათლადა სჩანს შემდეგი ფაქტიდან.

ამ დღეებში გამგეობის ყველა მოსამსახურეთათვის, გარდა ერთის კაცისა, რომელსაც გამგეობა რაღაც ცუდის თვალით უყურებს, ჯამაგირები მოუმატებიათ, დაბალი მოსამსახურეები კი სრულიად დავიწყებიათ. ან, თუ არ დაავიწყდათ, ნამდვილად დარწმუნებული იყვნენ, რომ ისინი მაინც ვერ შეიტყობენ, რასაც გამგეობის ბუღალტერი იოსებ აბზიანიძე და კამპანია მოინამუსებდენ, მოახერხებდენ, მათ ყურმოჭრილ მონა გამგეობასთან და თვითონ რომ მეტი მომატებოდათ, შესახებ დაბალ მოსამსახურეებისა საბჭოს არაფერს არ მოაგონებდენ. სწორედ ამ იმედით შესდგომია კიდევაც გამგეობის თვითმპყრობელი „პრემიერ მინნისტრი“ იოსებ აბზიანიძე თავისი და ძმათა მისთა სილარიბისაგან (?!) გაჭივრებულ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმის მოწყობას და, როგორც ბოლოს გამოირკვა, კიდევაც მიუღწევია მიზანს და ჯამაგირები მოუმატებიათ მხოლოდ მისთვის და სხვა მისი ამხანაგებისათვის. რომელთაც შორის ისეთებიც კი ურევია, რომ ათიათასობით შეძლება აქვთ.— „იოსებმა რომ მოინდომოს გამგეობას თავდალმა გადააბრუნებს! ვინაა რომ მთელ გამგეობაში აბზიანიძეს წინააღმდეგობას გაუბედავს, ის ისეთი წყეული შეჩვენებული კაცია, რომ თუ რამე აწყენია ვინმემ, ცამდის მართალი, რომ იყოს, ისეთ რამე ხრიკს მოსდებს, რომ მგონი ქუთაისში კი არა ციმბირშიც არ ექმნეს მის მსხვერპლს ადგილი!! ხშირათ გაიგონებთ გამგეობის ბევრ აბზიანიძის შიშისგან ძარღვებ აკანკალებულ ძრწოლარე მოსამსახურისაგან ასეთ შემაშფოთებელ სიტყვებს (!?!). როგორღაც აბზიანიძის და კომპანიის მონამუსებული, ჩუმათ ჯამაგირების მომატება გაუგიათ დაბალ მოსამსახურეებს და იმათაც, მიუციათ თხოვნა გამგეობისათვის, რომელშიაც აღუნიშნავთ, რომ—როგორც შარშან ერთად დავადგინეთ ყველა დაბალმა და მაღალმა გამგეობის მოსამსახურეებმა საერთო კომისია აეირჩიეთ, თუ მომატება იქნებოდა, ყველას უნდა მომატებოდა და არა მარტო შიდ გამგეობაში მოსამსახურეთ—ამიტომ ვსთხოვთ გამგეობას, ნურც ჩვენ დაგვივიწყებს და როგორც უფრო გაჭივრებულებს და ღარიბებს ჯამაგირები მოგვიმატოს.

ეს თხოვნა ისე მიუციათ გამგეობისათვის, რომ მათ არჩეულ, როგორც საქმემ დაამტკიცა, უვარგის კომისიისათვის, რომელიც უმეტეს ნაწილად დიდ ტუზებისაგან შესდგებოდა, არც კი უკითხავთ. როდესაც დაეკითხებით მოსამსახურეებს, რათ აირჩიეთ შარშან კომისიაში ისეთი პირები, როგორც აბზიანიძეა და სხვა, რა თქვენი ინტერესების დამცველია ასეთი კაცები, ასეთ პასუხს მიიღებთ: „რა გვექნა, შეგვეშინდა, რომ არ ამოგვერჩია, ჩაგვემტერებოდა (ვითომ მანამდის მათი მოყვარე იყო) მთელი „უპრავა“ მაგის ხელშია და მერე დაგვიწყებდა სამსახურიდან დათხოვას, გაგდებას, წვალებას და სხვასო“. დიახ, ასეთ კომისიას აუარა გვერდი მოთხოვნებიდან გამოსულმა და, როგორც ზემო ნათქვამიდან სჩანს, მოტყუებულმა დაბალმა მოსამსახურეებმა და მედგრათ მოსთხოვა გამგეობას: თუ იგი ყოველთვის გაიძახის ფული არა აქვს გამგეობასო და იმავე დროს მზათაა მოუმატოს ჯამაგირები ისეთ სიმდიდრეში ჩამხრჩვალ პირებს, როგორც გამგეობის ბუხგალტერი და ქუთაისში ხელოვნური წყლების ზავოდის მქონე იოსებ აბზიანიძეა, მათ რაღა დააშავეს, ისინი უფრო საჭიროებენ დახმარებას და მოითხოვენ თავისთვისაც ჯამაგირების მომატებას.

შევიდა თუ არა გამგეობაში დაბალ მოსამსახურეებიდან ასეთ მოთხოვნილებები, „თვითმპყრობელმა“ აბზიანიძემ იმ წამსვე დაერია მათ: „გაგრეკავთ აქედან, ერთსაც აღარ დაგტოვებთ, როგორ გაბედეთ იმის მოთხოვა, რომ ჩვენც მოგვიმატოთ ჯამაგირებიო; როგორ გაბედეთ, ჩვენზე დანოსის მიცემა გამგეობაში და სხვა... ყველას დაკითხოვთ: „ქალაქის საქმეებს, რასაც გამგეობა აწარმოებს, არენდით გავცემთ და თქვენ კი უადგილოთ დაგტოვებთო“. ასე რომ, როგორც გავს, მკითხველო, თუ მოინდომა, აბზიანიძეს ყველაფრის არენდით გაცემა შესძლებია, მერე ხომ მაინც დარჩება თავისუფლად და მოსამსახურები ველარ შეუშლიან ხელს. „ღარიბმა“ იოსებ აბზიანიძემ თავის თავისთვის ამატებიოს და ამატებიოს გამგეობას ჯამაგირი!!! ნე-

---

მეტი ნაყოფიერი. სახელდობრ კომუნისტურ ორგანიზაციას.

ამასთანვე ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში რომ კომმუნიზმში თვით მუშები იქნებიან შრომის ორგანიზატორებათ და გამგეებად და თავის თავად ცხადია რომ მათი ინტერესებია რაც შეიძლება შრომა იყოს სასიამოვნო და უადვილესი; კომმუნისტურ საზოგადოებაში ბუნებრივად წარმოსდგება საზოგადოებრივი აზრი რომელიც მოსპობს ცუდაობას, (праздность) როგორც მავნეს საზოგადოებისთვის, ე სამარცხვინოს ადამიანისთვის, იმ ხალხს, რომელთა მიდრეკილება ცუდაობისადმი არ იქნება ავადმყოფობის რეზულტატი, ძვირადაც დაუჯდებათ ეს მიდრეკილება, და მოძულებულიც იქნება საზოგადოებისგან. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისინი ისე ბევრი არ იქმნებიან, რომ საზოგადოებას მოუტანოს რაიმე მნიშვნელოვანი ზარალი.

**ამბროაზ.** მიუხედავათ თქვენი ოპტიმისტურ წინასწარმეტყველებისა, მუქთა-ხორები თქვენ საზოგადოებაში მაინც ბევრი იქნებიან, რას იზამთ მაშინ? თქვენ მაინც არ მიიღებთ მათ წინააღმდეგ რეპრესიებს? ამ შემთხვევაში, შედარებით უკეთესი არ არის რომ თავი დაანებო და დააყენო თავის ადგილას ისინი, ვისაც თქვენ ბურჟუებს უწოდებთ!

**გიორგ.** დიდი განსხვავებაა, იმიტომ რომ ახლა ბურჟუები არა მარტო გვართმევენ ჩვენ ნაწარმოების უმთავრეს ნაწილს, არამედ ისინი გვაბრკოლებენ კიდეც რომ დავამუშაოთ ჩვენთვის ცოტა ძალის დახარჯვით, აუცილებელი ნაყოფები.

და ბოლოს და ბოლოს არ იქნება არავითარი აუცილებლობა, რომ ვკვებოთ მუქთა-ხორები, მით უმეტეს თუ ისინი აღმოჩნდნენ იმდენი, რომ მართლაც მავნებელნი დარჩნენ საზოგადოებისთვის, რახან რომ ცუდაობას და ჩვეულებას სხვის ანგარიშზე ცხოვრებისას ასოციაციათა იდეებში შეუძლია ჩასახოს უფლობის იდეია. კომმუნიზმი არის თავისუფალი შეთანხმება, ისინი ვინც არ მიიღებენ მას, ან მიიღებენ, რომ დაარღვიონ ნება-ყოფლობით აღებული მოვალეობა, არ იქნებიან მონაწილეებათ.

**ამბროაზ.** მაშინ ხომ შესდგა ახალი კლასი უნუგეშო გაჭივრებულთა.

**გიორგი.** სრულებითაც არა. თვითეულს აქვს უფლება მიწებზე, შრომის იარაღზე და ყველა უპირატესობაზე, რომლითაც სარგებლობს ადამიანი განათლებულ საზოგადოებაში. თუ ვინმე არ მოინდომებს მონაწილეობის მიღებას და არ მიიღებს თავისთავზე იმ მოვალეობას, რომელსაც კომუნიზმი ავალებს, ეს იმის საქმეა. ის აშენდება ისე როგორც მოინდომებს, ერთი ან თავისს თანამოაზრ წააზრები, თუ ასეთები მოინახებიან; და ის თუ შესდგა სხვანაირად, ისე რომ არ იგრძნობენ თავისათვის დაკმაყოფილებულათ, ამას მათ დაუმტკიცებს კომმუნიზმის უპირატესობა რომელიც ურჩევს კომმუნისტებთან შეერთებას.

**ამბროაზ.** მაშ ყველას თავისუფლება ექნება გინდ მიიღოს გინდ არა კომმუნიზმი?

**გიორგი.** ცხადია, ყველას, რანაირი აზრისაც არ უნდა იყოს, ექნებათ ის უფლებები ყველა ბუნებათა და უწინდელ ჩამომავლობათა შექნილ სიმდიდრეზე, რაც კომმუნისტებს. ოჰ! ეშმაკმა წაიღოს! თქვენ მუდამ არ გიმტკიცებთ თავისუფალ კომმუნიზმზე? წარმოთქმაც არ შეიძლებოდა რომ არ არსებობდეს ეს ალტერნატივა.

**ამბროაზ.** თქვენ არ გინდათ ძალით მოახვიოთ სხვებს თქვენი იდეები?

**გიორგი.** ხომ ჭკუიდან არ შეშლილხართ! ჟანდარმებათ ნუ გვრაცხე ჩვენ!

**ამბროაზ.** კეთილი, მაგრამ თავის უფლებათა მოსაპოვებლათ თქვენ ხომ ძალადობას არ ხმარობთ?

**გიორგი.** ამაზე გავჩერდები, რომ არ მოგცეთ გისამტყუნებელ სიტყვის მასალა მომავალ ანარქისტთა პროცესის დროს. ერთის სიტყვით მე არ ვჩქარობ, როდის შეიგნებს ხალხი თავის უფლებებს და უარჰყოფს ძველ წესწყობილებას...

ყველაფერი დამოკიდებულია ძლიერ მოწინააღმდეგე ძალაზე, რომელსაც თქვენ გამოიჩენთ. თუ თქვენ დაგვითმობთ ნებაყოფლობით ყველაფერი შესრულდება წყნარად და მშვიდობიანად; და თუ პირიქით დაიწყებთ წინააღმდეგობას, — მით უარესია თქვენთვის...

— მშვიდობით!

კ. ჭ—ია.

(შემდეგი იქნება)

ტავი რას უზამს, რომ გაბედოს გამგეობამ და უთხრას ბ. იოსებს, შენ მდიდარი ხარ მომატება არ გეჭირება უფრო ღარიბებს უნდა მოუმატოთო? მგონი, გამგეობის მოვალეობასაც არენდით გაცემა მოუნდომოს, მაგრამ ეხლა გამგეობის არენდით გაცემას ვერ შეზძლებს რადგან იქ ერთი ახალი პირი მაინც იმყოფება, რომელიც არ დაანებებს აბზიანიძეს გამგეობის არენდით გაცემას!

კომისია იმას უსაყვედურებდა მოსამსახურეებს, რატომ ჩვენ, როგორც თქვენს არჩეულებს, რჩევისათვის არ მოგვმართეთო და ისე წარუდგინეთ გამგეობას მოთხოვნილებებიო. ნამდვილათ წინდაწინ იცოდენ მოსამსახურეებმა, როგორ რჩევას მიიღებდენ კომისიისაგან და მიტომაც არაფერი ჰკითხეს მას. საკვირველი ის არის, კომისია თავის თავს უმატებდა ჯამაგირებს და ამის შესახებ გამგეობასთან მითქმა მოთქმა ქონდა, დაბალი მოსამსახურეები რათ არ გაახსენდა და მათთვის რათ არ მოითხოვა ჯამაგირების მომატება?! განა ამის შემდეგ კიდევ საყვედურის ღირსია დაბალი მოსამსახურეები, თუ კომისია, როგორც მათი მოღალატეს დმ მხოლოდ თავის მუცელზე მზრუნველის, თუ გვერდი აუხვიეს და პირდაპირ მიმართეს მიზნის მისაღწევათ?

„ნეკნი კუჭიანები" იმიტომ გაცეცხლდენ და დაერიენ დაბალ მოსამსახურეებს, რომ უნდოდათ როგორმე დაექსაქსათ ისინი შეეშინებიათ და მოთხოვნილებაზედ უარი ეთქმევინებინათ და ამით საშუალება მისცემოდათ ჩუმათ მომატებული ჯამაგირები სრულიათ ჩაეჩხრიალებიათ ჯიბეში, რაც ეხლა საეჭვოდ გახდა, რადგან მოსამსახურეები მედგრად თხოულობენ კანონიერ დაკმაყოფილებას, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მომატებულ ჯამაგირების შემცირება. თავის მუქარის სისრულეში მოყვანას აბზიანიძე უკვე შეუდგა. ჯერ კირევ არ გადაწყვეტილა კითხვა მოსამსახურეებისა და გამგეობის შორის და ერთი საუკეთესო ქალაქის გამგეობაშა მოსამსახურე პირი მოსე გიგინეიშვილი უკვე დაითხოვეს. ვნახოთ, ცოტა კიდევ მოუცადოთ, აწი ვისზე მივა ჯერი!

დაბალ მოსამსახურეებთან ბრძოლაში და მათ დაქცევის განხორციელებაში „პრემიერ მინისტრს" აბზანიძეს დიდ დახმარებას უწევდენ აბზიანიძის თუ „სხვის" წყალობით (ღირსი არის თუ არა ამისა შემდეგ), ახლად ჯამაგირ მომატებული გამგეობის მწერალი ნიკო ქყონია და „აგენტი" ვარლამ ფანცხავა.

როგორ ფიქრობ, მკითხველო, ყოფილა თუ არა თვითმპყრობელი ქუთაისის ქალაქის გამგეობაში იოსებ აბზიანიძე, თუ ყველაფერი რაც ზევით ნათქვამია სრულ სიმართლეს შეიცავს? ყველაფერი ზევით ნათქვამი სრული სიმართლეა, მკითხველო. აწი უფრო უმეტესი სიმართლე დაიწერება „თვითმპყრობელ" აბზიანიძეზე და ქუთ. ქალაქის გამგეობაზე.

თ.—ლი.

## რუსეთი

—

კიევის რკინის გზის სადგურზე მზათა სდგას „დამსჯელი" მატარებელი, 32 ვაგონით. ცალკე ერთი ვაგონი მოწყობილია ტყვიის—მტყორცნელებით. (რუსსკოე სლოვო)

—

სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნამ გამოიწვია მღელვარება მოსკოვის ციხეებში. ბევრ კამერებში დაპატიმრებულმა ჩალეწეს ფანჯრის შუშები და გამართეს მიტინგები. (XX ვეკ)

—

ლონდონიდგან დეპეშით აუწყებენ „რუსსკოე სლოვოს", რომ იქაურ რუსეთის ელჩმა გრაფ ბენკენდორფმა განაცხადა პროტესტი, ინგლისის მინისტრის კემპელ-ბანნერმანის წარმოთქმულ სიტყვის გამოსაერთაშორის პარლამენტარულ კონფერენციაზე; რომელმაც სთქვა „სათათბირო მოკვდა, გაუმარჯოს სათათბიროს!—ო.

—

მუშებმა „სან-გალლი"-ს ქარხნისამ, მუშაობის შემდეგ, ქარხნის ადმინისტრაციას წარუდგინეს მოთხოვნილება, ჯამაგირების მომატების შესახებ 20%. მუშების მოთხოვნილება ქარხნის ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა და მუშები დაითხოვა. (XX ვეკ).

—

შვილი სტატსკი სოვეტნიკისა, ტრუხაჩევი რომლის ბინაშიაც იპოვეს ფარული ყუმბარის საკეთებელი ქარხანა „მოსკოვის ლისტოკის" სიტყვით, დიდი ხანია რაც ის პოლიციისაგან შენიშნულია, როგორც რევოლიუციონური მოღვაწე. დეკემბერში მომხდარ მოსკოვის აჯანყების დროს დაპატიმრებულ იქმნა, მაგრამ რადგანაც პოლიციამ ვერაფერი დაუმტკიცა, გამოუშვეს ციხიდგან. ტრუხაჩევის ბინაზედ დაპატიმრებულნი არიან 6 კაცი, რომელნიც ეკუთვნიან სარევოლიუციო კომიტეტს.

—

გადაწყვეტილია რომ დაჰკეტონ ყველა გაზეთები, რევოლიუციონური მიმართულებისა. ეუწყათ კიდეც, საცენზურო კომიტეტებს, გენერალ-გუბერნატორებს და გუბერნატორებს. (XX ვეკ).

დაცვის განყოფილებამ მიიღო ყოველი ზომა, რომ როგორმე იპოვნოს სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფი, გაზეთ „მისლ"-ის რედაქტორი, სოლომკო. (XX ვეკ)

—

მიღებულ დეპეშების ცნობებით, მოსკოვში, ხარკოვში, ვარშავაში, ოდესაში, და სხვაგან დაპატიმრებულნი არიან წევრები სოციალისტ — რევოლიუციონერებისა. (XX ვეკ)

—

„XX ვეკის" სიტყვით, ავტორი 9 ივლისის მანიფესტისა არის პობედონოსცევიო.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მიიღო ცნობა, რომ აგრარული მოძრაობა დაწყებულა მოსკოვის და ტვერის გუბერნიაში. არეულობის დაწყების მიზეზად სთვლიან სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნას. (რეჩ).

—

გელსინგფორსში დაიწყო პოლიციელების საერთო გაფიცვა. ყველანი დაითხოვეს სამსახურიდგან. (ნოვოე ვრემია)

—

ბრესტ-ლიტოვსკის ციხეში მოიყვანეს ყოფილი წევრი სახელმწიფო სათათბიროსი გრონდის გუბერნიიდგან კონდრაშჩუკი, რომელიც დაპატიმრებულ იქმნა საეროზო უფროსის მიერ. (ნოვოე ვრემია)

—

8 ივლის, სასტუმრო „გრანდ ოტელში" თავი მოიკლა როტმისტრმა ნაზიმოვმა, რომელიც იღებდა მონაწილეობას ბალტიის მხარეში დამსჯელ ექსპიდეციაში. ნაზიმოვმა დასტოვა ბარათი, რომ მიზეზი ჩემი მოკვლისა არის სინდისის ქენჯნაო. (რუსკია ვედომოსტ).

## დეპეშები

(რუსეთის სადეპეშო სააგენ).

—

**სოფია.** უკანასკნელი ცნობებით ფილიპოპოლში დაქცეულია 300 მაღაზიამდე. რამდენიმე მილიონი ზარალია. მოკლულია 3, მათგან 1 ბერძენია. ბერძნები გაიქცნენ მახლობელ ბოლგარულ სოფლებში, ბურგასში ბრბომ მიისაკუთრა ეკლესია და ბერძენთა სკოლა.

**ლონდონი.** საზოგადო პალატაში კალონიის მინისტრმა აუწყა, რომ ყოველი სრულ-წლოვანი კაცი და რომელიც სცხოვრობს ტრანსვალში ექსი თვე, ტრანსვაალის კონსტიტუციის ძალით ნება აქვთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, გარდა ინგლისელ ჯარისკაცებისა. პარლამენტშია 69 წევრი. მეორე პალატა შესდგება 15 წევრისაგან, რომელნიც პირველად ინიშნებიან მთავრობის მიერ. არჩევნები ხდება ხუთ წელიწადში ერთხელ.

**პეტერბურგი.** 18 ივლისს ტერიოკში, ზღვის ნაპირას, სეირნობის დროს საღამოს 9 საათზე მოჰკლეს ყოფილი დეპუტატი გერცენშტეინი. ტყვია გამოისროლეს ღობიდგან. ორი ტყვია მოჰხვდა გულში. დაჭრილია აგრეთვე ქალი გერცენშტეინისა. მსროლელი მიიმალა.

არა ჩვეულებრივი შემთხვევით, ყოფილ დეპუტატმა იოლლოსმა 3 საათის წინად მკვლელობამდის დეპეშით აცნობა „რეჩი"-ის რედაქციას მოსკოვიდან, რომ მოსკოვში გავრცელდება ხმები ვითომ მოჰკლეს გერცენშტეინიო.

**გელსინგფორსი.** სვეაბორგში, ორშაბათ დილით, აჯანყდა არტილერიის სამინო როტა და იმათ დაიჭირეს სამი კუნძული, რომლიდანაც ციხეს უშენენ ზარბაზნებს. არიან დაჭრილნი და მკვდარნი. ქალებმა და ბავშვებმა დასტოვეს ქალაქი. გარნიზონი მომატებულია ახალ მოსულ ჯარებით. გუშინ დილით გელსინგფორსის პორტში, აჯანყდნენ მატროსები და ყაზარმებზედ აღმართეს წითელი დროშა. 3 კრეისერიდან დაუშინეს ზარბაზნები. კრეისერები იდგნენ რეიდში. ყაზარმები დაქცეულია. საღამოს 6 საათზე გაგზავნილ ჯარმა წესიერება აღადგინა. 110 მატროსი დანებდა და 11 კერძო პირნი. წითელ გვარდიის უფროსმა გამოსცა მოწოდება, მოუწოდებდა საერთო გაფიცვისათვის; მაგრამ თანაგრძნობით არ მოეკიდნენ მოწოდებას. წითელ გვარდიელმა გაფუჭეს რკინის გზები, რომ ჯარის მოძრაობა შეაბრკოლონ. სროლა კიდევ გრძელდება.

**ოდესსა.** სამხედრო სასამართლომ ტიტელს ყუმბარის შენახვისათვის გადაუწყვიტა ოთხი წლით კატორგა.

**ვარშავა.** გრანიჩნი ქუჩაზე, ლაპშინის წუმწუმის მაღაზიაში, 6 უცნობმა ბოროტ მომქმედებმა—გაიტაცეს 1000 მანეთი და მიიმალნენ.

გაძარცულია ღვინის დუქანი.

**ვლადივოსტოკი.** ქუჩაში მოჰკლეს პოქაულის თანაშემწე გაზანბიევი.

**ყაზანი.** დაიჭირეს ყველა პროგრესსიული გაზეთები.

**ოდესსა.** ანარქისტებმა, ქალის წინამძღოლობით, შეიარაღებულნი რევოლვერებით, და ყუმბარებით ხელში შეიჭრენ „ნოვოე ობოზრენიე"-ს, სტამბაში დაბეჭდეს რამდენიმე ათასი პროკლამაციები, რომელშიც სხნიან პოკატილოვის მიერ მოკლულს სამხრეთ რუსეთის საბეჭდავ საქმის დირექტორისას.

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ დიასამიძე

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის", სასახლის ქუჩა, სადღი ქარ. თავ.-აზნაურობისა.